ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრი , ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე **ტარიელ ტაბატაძე**

ფრაქცია ,,ახალციხე-საქართველოსთვის''

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია.

საანგარიშო პერიოდი- 2023 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის ნოემბრამდე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა -10
საკრებულოს სხდომაზე დასწრება-10
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია.
სხდომების რაოდენობა -3
კომისიის სხდომებზე დასწრება -2
სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა-5
ფრაქციის სხდომებზე დასწრება-5

- **საკრებულოს სხდომაზე მბარი არ დავუჭირე შემდეგ საკითხებს:**

1. ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე'' დადგენილების პროექტი.
2. ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' დადგენილების პროექტი.

როგორც საკრებულოს მაჟორიტარ წევრს მუდმივი კონტაქტი მაქვს მოსახლეობასთან და საკრებულოს სხდომაზე გამოვთქვამ მოსაზრებებს.

სხდომაზე რომელსაც ესწრებოდა პარლამენტის დეპუტატი

- საკრებულოს სხდომაზე დავსვი საკითხი და ვითხოვე პარლამენტის დეპუტატის ანტონ ობიდაშვილის დახმარება. კერძოდ აღვნიშნე, რომ დასახლების ,,ახალშენი-დიატომიტის" მცხოვრებთა უმრავლესობას, უკვე დიდი ხანია აქვს სარგებლობაში მიწის ნაკვეთები, მაგრამ ვერ ახერხებენ საკუთრებაში დაკანონებას, ასევე ბინების ნაწილი აქვთ დაკანონებული, ნაწილი -არა. არსებობს ბინებისა და მიწების დანაწილების ადრე გაცემული სიები. ასევე დავსვი საკითხი აღნიშნულ დასახლებაში ერთ-ერთი დაზიანებული კორპუსის რეაბილიტაციის თაობაზე.

საკრებულოს სხდომებზე გამოვთქვამ მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, წარვადგენ შენიშვნებს, მონაწილეობას ვღებულობ კამათში, ვსვამ შეკითხებს და ვაფასებ.

აქტიურად ვახორციელებ საკრებულოს წევრის სხვა უფლებამოსილებებს.

შევსების თარიღი: 19.10.2023წ.
წარდგენის თარიღი:23.10.2023 წ.